

შპს „ბევრილი ბეიქერ ჯგუფი“

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება
ერთეულ ლარში

შპს „ბევრილი ბეიქერ ჯგუფი“

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის

ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
სრული შემოსავლის ანგარიშგება
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1.	ზოგადი ინფორმაცია.....	2
2.	კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	2
3.	ძირითადი საშუალებები.....	3
4.	არამატერიალური აქტივები	5
5.	ფული და ფულის ეკვივალენტები.....	5
6.	მარაგები	5
7.	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6
8.	შემოსავალი.....	6
9.	საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	6
10.	ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები და სესხები.....	7
11.	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7
12.	გადასახადები	7
13.	აქტივების გაუფასურება.....	7
14.	ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	8
15.	კორექტირება წარდგენის მიზნებისათვის	8
16.	ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	8
17.	ბალანსის შემდგომი მოვლენები	9
18.	ანგარიშგების წარდგენის თარიღი	9

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ბევრილი ბეიქერ ჯგუფი“ (406374766) წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის ქვეშ მოქმედ კომპანიას, რომლის ძირითადი საქმიანობაა პურფუნთუშეულის წარმოება, რეალიზაცია კომპანია დაფუძნდა 22.08.2022 წელს. დამფუძნებელი- 100% - იანი წილის მფლობელი შპს „ბევრილი ჯგუფი“ /208215821/, დირექტორი რომან ფერცულიანი მარეგისტრირებული ორგანოა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

იურიდიული მისამართი საქართველო, ქალაქი თბილისი, სამგორის რაიონი, კახეთის გზატკეცილი, N 101.

ფაქტიური მისამართი - საქართველო, ქ. ფოთი, ლარნაკას ჩიხი 1

2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებულია დამტკიცებული სააღრიცხვო პოლიტიკა.

2.1 წარდგენის საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 2022 წელს .

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.

2.2 მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება

მოცემული ანგარიშგება არის კომპანიის მიერ მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება და გამოყენებული იქნა მსს ფასს-ის 35-ე განყოფილება, „მსს ფასს-ზე გადასვლა“.

2.3 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. 2022 წლის 31 დეკემბრის ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ოფიციალური გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7020	2.8844

3. ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების შესაბამისად. ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება სხვა დანახარჯის სახით, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადები
ნაგებობა-მოდრავი აქტივი	20 წელი
საწარმოო დანადგარები	7-10 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	1-5 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	10-12 წელი

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის მოხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა, რაც გაწერილია სააღრიცხვო პოლიტიკით

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა მოგება/ზარალი.

ცომსაზღელის დამატებითი ჯამები SPV 160 AD	8794.05
პურის საცხოზი ღუმელები	5860.71
საცხოზის ორმაგი კარები ღვედით MIWE	24489.58
MIWE ASB BELT -ღვედი საცხოზის	21485.71
სენსორებიანი მონიტორი კომპიუტერული სისტემა საცხოზი ღუმელისთვის	11720.24
საცხოზი ღუმელის ფიქსატორი	7740.00

საცხოზი ღუმელის გამღები დამკვეტი	5205.56
ჰაერის ღერძულა კომპრესორი	3875.00
ფქვილის დოზატორის სისტემა	78691.67
ფორმის მიმცემი ხაზი(ბაგეტნიცა)	5863.10
პურფუნთუშეულის ნაწარმის მოძრავი მაგიდა	5861.90
ცომსაჭრელი და ფორმის მიმცემი დანადგარი საცხოზის	6839.29
პურის შესაფუთი დანადგარი	761.11
ცომის საჭრელი დანადგარი	8611.67
მიქსერის თავები	275.00
წყლის დამარბილებელი მოწყობილობა	1455.00
საცხოზი ღუმელი	3388.33
გაზის ღუმელი	1140.00
როტაციული ღუმელი	35171.43
დანადგარი პურფუნთუშეულის ნაწარმის წარმოებისათვის-საცხოზი ღუმელი	68366.67
ორთქლის ქვაბი შემადგენელი ნაწილებით	19350.00
ცომის საჭრელი მიქსერი	951.11
ცომის დამამრგვალებელი	1144.44
შესაფუთი დანადგარი	761.11
მიქსერი პლანეტარული	1900.00
მართვის სისტემის კარადა საცხოზისათვის	5208.33
მართვის სისტემის ელ კარადა	2369.44
ტრანსფორმატორი M-2500/10-YI	33290.00
წყლის გამაგრილებელი ავზი 900ლტ	5677.78
პურის საჭრელი მანქანა	947.22
როტაციული ღუმელი	8797.62
შესაფუთი დანადგარი	758.33
საგუნდავებელი	663.89
ცომსაჭრელი	1708.33
პურფუნთუშეულის საცხოზი ღუმელი LIDER 250 D	24416.67
MIWE ROLL IN RL L 0608 E+GAZ საცხოზი დანადგარი	33697.62
MIWE prover mMGT for 4 trolley 600*800 საცხოზი დანადგარი	11726.19
Vacuumcleaner გამწმენდი დანადგარი	14516.67
MIWE IDEAL T.LL DECK OWER საცხოზი ღუმელი	122083.33
sp1808 Spraying Table SP მოძრავი პურის დანადგარი	11733.33
პურის დასაჭრელი დანადგარი	7750.00
ჯამის ამწევი	14526.67
ცომსაზელი	9773.81
ტეფლონის ბუნკერი /teflon hopper	758.33
დამამრგვალებლის ცივი და ცხელი შემბერი	1044.44
UV lamp-სანათი	250.00

MO 300 MIDI გლიმეკის დანადგარი	9780.95
DIOSNA SPY 160 AD ცომსაზელი	24428.57
DIOSNA SP 80 -ცომსაზელი	11733.33
მრგვალი საჭრელი BDM 4/30	4843.33
ცომსაჭრელი sd 300	29309.52
დანადგარი IPP8/40	19542.86
წყლის გამაგრილებელი	1611.11
დამამრგვალებელი CR 360 GM	9773.81
ჩასატვირთი სისტემა	31264.29
ცომსაზელი SPV 160 AD	11726.19
სამაგრი	9683.33
საკონტროლო სისტემა	12714.29
საფეკვეი განყოფილება	1144.44
სალარო აპარატი DY00119171	116.53
სალარო აპარატი Daisy expert SX DY00212741	302.97

819376.2

4. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები კომპანიას არ გააჩნია.

5. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, დეპოზიტებს.

	2022
ნაღდი ფული სალაროში	3.95
ფული საბანკო ანგარიშებზე	95335.73

6. მარაგები

საწარმოს დადგენილი აქვს წარმოების ნორმები და მარაგების აღიარება ხდება თვითღირებულებით

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი.

კომპანია მარაგის ჩამოწერას ახორციელებს საშუალო შეწონილი მეთოდით.

მარაგების ნაშთი შესდგება : მზა პროდუქციისაგან /პური-ფუნთუშა/, საწარმოო მარაგებისაგან /რაც წარმოებაში გამოსაყენებელია/, სხვა სათადარიგო მასალისაგან რასაც საწარმო ხარჯავს საკუთარი მოხმარებისთვის , რადგან მისი ძირითადი საქმიანობაა პროდუქციის წარმოება .

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

კომპანიას არ გააჩნია საექვო სავაჭრო მოთხოვნები მისი არსებობის პერიოდიდან გამომდინარე

8. შემოსავალი

საწარმო ამონაგებს წარმოადგენს ძირითადად წარმოებული პურ-ფუნთუშეულის რეალიზაცია რომელიც შემოსავლად აღიარდება დარიცხვის მეთოდით.

მომსახურების გაწევა

საწარმო ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება და მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში.

ყველა მომსახურების გაწევაზე დგება ხელშეკრულება და სამუშაოს შესრულების მიღება-ჩაბარების აქტი.

	2022
შემოსავალი რეალიზაციიდან	791750
შემოსავალი მომსახურებიდან	1356

9. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

ხარჯის დასახელება	თანხა
ქონების გადასახადი	1,365.00
ინვენტარიზაციის შედეგები	23.40
პურის, ფუნთუშის, საკონდიტროს საცხობის ნედლეული	1,179.71
საცხობის დანადგარების დაზიანების შეკეთების ხარჯი	1,062.28
წყალმომარაგების ხარჯი	505.56
გაყიდული/შემძენილი საქონელი	597,023.00
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	1,097.46
შრომის ანაზღაურება	22,275.00
საიჯარო ქირა	39,161.00
საკასო აპარატის მომსახურება	33.88
დაზღვევა	290.62

საკონსულტაციო ხარჯები- ნოტარიული, საჯარო რეესტრი, იურიდიული და სხვა.	3,386.40
ცვეთა და ამორტიზაცია	21,081.00
სხვა საგადასახადო ხარჯი- მოგების გადასახადი	292.30
ბანკის მომსახურების საკომისიო	6.50
საკანცელარიო ხარჯი	248.31
საპენსიო ფონდი - დამსაქმებლის ხარჯი	1,385.76
	690417.18

10. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები და სესხები

საწარმოს ნასესხები სახსრები არ გააჩნია. /არც საფინანსო კომპანიებისგან და არც კერძო ფიზიკური პირებისგან/

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს

12. გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, შეწირულობებზე, ზენორმატიულ დანაკარგებზე, ბიზნესთან დაუკავშირებელ დანახარჯებზე და სხვა. კომპანიას დივიდენდი არ გაუცია მიმდინარე პერიოდებში გადახდილი მოგების გადასახადი აღიარდება ხარჯად ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

კომპანიას საგადასახადო ვალდებულება ერიცხება 24554 ლ 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

13. აქტივების გაუფასურება

გაუფასურების ობიექტური მტკიცებულების საფუძველზე , საწარმო გაუფასურების ზარალს /მოგებას დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

აქტივების გაუფასურების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ბალანსის შემდგომ მოვლენებში

14. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

15. კორექტირება წარდგენის მიზნებისათვის

2022 წლის ფინანსური ანგარიშგება კომპანიამ პირველად წარადგინა მსს ფასს-ების მიხედვით. კომპანიას 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში კორექტირებები არ განუხორციელებია ის თანხვედრაშა საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებთან.

16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან,

მსს ფასს-ის 33-ე განყოფილების მიხედვით, დაკავშირებული მხარე არის

(ა) პირი ან მისი ახლო ნათესავი, თუ ეს პირი:

(i) არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი სათავო საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;

(ii) აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან

(iii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

- (i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ სათავო საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე სათავო საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული);
- (ii) ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);
- (iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;
- (iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;
- (v) ეს საწარმო არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე საწარმოს დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ასეთი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ მიიჩნევა;
- (vi) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;
- (vii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომლის ნაწილიც ის არის, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს სათავო საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;
- (viii) (ა) (ii) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი სათავო საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

2022 წელს, კომპანიას არ ჰქონია დაკავშირებულ მხარეებთან ისეთი ოპერაციები, რომლებზეც გავლენა იქონია მხარეთა შორის არსებულმა ურთიერთობებმა

17. ბალანსის შემდგომი მოვლენები

კომპანიას არ განუსაზღვრავს აქტივების გაუფასურების შედეგი, მისი არსებობის მცირე პერიოდიდან გამომდინარე, აღნიშნული განისაზღვრება მომდევნო წლების განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

18. ანგარიშგების წარდგენის თარიღი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილია და გამოსაცემად მზად არის 2023 წლის 15 სექტემბერს.

შპს ბევრილი ბეიქერ ჯგუფი

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	31/12/2022
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	95340
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	178221
მარაგები	0
მზა პროდუქცია	220747
სხვა	3669
საინვესტიციო ქონება	217078
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0
ბიოლოგიური აქტივები	1101
თვითღირებულების მოდელით	0
გადაფასების მოდელით	0
გუდვილი	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0
ძირითადი საშუალებები	0
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	819376
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0
სულ აქტივები	1314785
ვალდებულებები	
საიჯარო ვალდებულება	23105
სავაჭრო ვალდებულებები	319142
ანარიცხები	83
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	5212
საგადასახადო ვალდებულებები	24554
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0
მიღებული გრანტები	0
სხვა ვალდებულებები	0
სულ ვალდებულებები	372096
საკუთარი კაპიტალი	
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	840000
საემისიო შემოსავალი	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	0
გადაფასების რეზერვი	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0
სულ საკუთარი კაპიტალი	102689
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	942689
სულ მოკლევადიანი აქტივები	1314785
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	485409
	372096

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 15.09.2023 წ.

დირექტორი: _____ რომან ფერცულიანი



საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2022
ნეტო ამონაგები	793106
საქონლის გაყიდვიდან	791750
მომსახურების გაწვიდან	1356
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0
სხვა	0
გაყიდვების თვითღირებულება	-597023
საწყისი მარაგები	0
მარაგების შესყიდვა	0
გადამუშავების დანახარჯები	0
საბოლოო მარაგები	0
საერთო მოგება	196083
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-22275
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-21081
საპროცენტო შემოსავალი	0
საპროცენტო ხარჯი	0
იჯარის ხარჯი	-39161
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-10877
სულ საოპერაციო ხარჯები	-93394
საოპერაციო მოგება	102689
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:	
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0
მიღებული დივიდენდები	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	102689
მოგების გადასახადის ხარჯი	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	102689
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):	
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	102689
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	0
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	840000
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	942689

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 15.09.2023 წ.

დირექტორი: _____ რომან ფერცულიანი



ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2022
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	95340
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	95340
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	95340

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 15.09.2023 წ.

დირექტორი: _____ რომან ფერცულიანი

